



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

### გამგებლის პირველი მოადგილე



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: 599 85-61-56  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72 e.meil: a.kazaishvili@yahoo.com

N 7225  
05/09/2017

7225-04-2-201709051627



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის მინისტრს  
ბატონ ზურაბ ალავეძეს

ბატონო ზურაბ,

როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს საქართველოს მთავრობის 2017 წლის N1686 განკარგულებით დაევალა ადგილობრივი მნიშვნელობის მერია-ლაითურის საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 5.3 კმ, დაბა ლაითურის უბნებში გამავალი სამი მიერთების ჩათვლით) სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების შესყიდვა.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურიდან სოფ. ცეცხლაურის მიმართულებით საავტომობილო გზა უმოკლესი მანძილით აკავშირებს გურიისა და აჭარის რეგიონს, რომელიც გრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის მერია-ლაითურის საავტომობილო გზის შემდეგ, რომლის რეაბილიტაციაც საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაევალა მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით. გურიისა და აჭარის რეგიონების დამაკავშირებელი ზემოაღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთი ძლიერ დაზიანებულია და ამორტიზირებულია, რის გამოც გართულებულია ავტოტრანსპორტის გავლადობა და მოსახლეობას ექმნება დისკომფორტი. ასევე, გამყოფ სასაზღვრო ზოლში მდინარე ჩოლოქზე არსებული საავტომობილო ხიდი 2004 წლის ცნობილი მოვლენების დროს იქნა დაზიანებული და მისი დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, საჭიროა მისი აღდგენა. ზემოაღნიშნული იწვევს, დაბა ლაითურიდან სოფ. ცეცხლაურის მიმართულებით მიმავალი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 6კმ) და მდ. ჩოლოქზე ხიდის რეაბილიტაციის აუცილებლობას. აღნიშნული ხიდის გვერდზე მოწყობილია დროებითი ლითონის სახიდე გადასასვლელი, რომელიც

ხანდაზმულობის გამო კოროზირებულია და ბურჯებიც დაზიანებულია. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გზის და ხიდის ფუნქციონირება მნიშვნელოვანია არამარტო ოზურგეთის და ქობულეთის მოსახლეობისათვის, არამედ მთლიანად ორივე რეგიონისთვის, ვინაიდან ბოლო წლებში გაზრდილი ტურისტული ნაკადის ფონზე, კიდევ უფრო იმატებს დამსვენებელთა და ტურისტთა რაოდენობა, რაც მოსახლეობის დასაქმების, ინფრასტრუქტურის განვითარების და რეგიონის ეკონომიკური სიძლიერის წინაპირობაა. ზემოაღნიშნული სამუშაოს განხორციელება უმოკლეს ვადებში, ზამთრის დადგომამდე მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ზამთრის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გართულდება მოსახლეობისა და ავტოტრანსპორტის გადაადგილება. ასევე დროებითი ხიდის ხანდაზმულობამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და შეფერხდეს ავტოტრანსპორტის გადაადგილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენს დახმარებას და თანადგომას დაბა ლაითურიდან სოფ. ცეცხლაურის მიმართულებით გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზისა (სავარაუდო სიგრძით 6კმ) და მდ. ჩოლოქზე ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების უმოკლეს ვადებში დაწყებასთან და მიმდინარე წელს დარულებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან მუნიციპალიტეტს არ აქვს სახსრები სამუშაოების დასაფინანსებლად, გთხოვთ თქვენს თანადგომას და დახმარებას, რათა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განახორციელოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის დაბა ლაითურიდან სოფელ ცეცხლაურის მიმართულებით მიმავალი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა (სავარაუდო სიგრძე 6კმ) და მდინარე ჩოლოქზე ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები.

პატივისცემით,

არჩილ ყაზაიშვილი

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

